ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - ოთარ კაჭკაჭაშვილი

კოლეგიის წევრი - ინგა ბერიძე

კოლეგიის წევრი - ანა ხურციძე

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 17.01.24

შეკითხვის ავტორი - ადვოკატი /სიითი №/

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 001/24

I. შეკითხვა

როდესაც სასამართლოს განჩინებით საზოგადოებრივი ადვოკატი ახორციელებს ბავშვის ინტერესების დაცვას სამოქალაქო დავაში, მოსარჩელე და მოპასუხე არის წარმოდგენილი კერძო ადვოკატით, დავის არსს არ აქვს მნიშვნელობა, როდესაც სხდომაზე საზოგადოებრივი ადვოკატის დასმული კითხვა ერთ-ერთი ადვოკატისთვის მიუღებელია და პასუხისგან თავის არიდების გამო მას ეუბნება რომ სხდომის ფორმალური მონაწილეა და სჯობს იმოქმედოს, მიუხედავად მისი ასეთი გამოსვლისა მოსამართლე არ განარიდებს შეკითხვას, შესვენებას აცხადებს. სხდომაზე ესწრებიან დამსწრე პირები გარდა კოლეგებისა. ამ შემთხვევაში მხარის ადვოკატი არღვევს თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლს (მუხლი 7. კოლეგიალობის პრინციპი ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი

ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები. (08.12.2012)) საზოგადოებრივი ადვოკატის მიმართ?

II. ანალიზი

ეთიკის კომისიამ ადვოკატის შეკითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტები განიხილა, კოლეგიალობის პრინციპის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით:

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7).

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1).

“ადვოკატთა როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების” მე-12 პარაგრაფი: „ადვოკატებმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად.“

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის მუხლი 4.3.: „სასამართლოს ღირსეული პატივისცემითა და მოწიწებით, ადვოკატმა უნდა დაიცვას მისი კლიენტის ინტერესები პატიოსნად და უშიშრად, მისი პირადი ინტერესების ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შედეგების მიუხედავად.“

“საქართველოს კონსტიტუცია, ისევე, როგორც, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება შეიზღუდოს, სხვათა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად. ადვოკატები სრულად სარგებლობენ აღნიშნული უფლებით, თუმცა, ადვოკატთა პროფესიული რეპუტაციისა და საერთო კორპორაციული ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, მათ ეკისრებათ, როგორც სიტყვისა და გამოხატვის უფლების ზოგადი წესით დადგენილი შეზღუდვის დაცვა, ასევე კოლეგიალობისა და პროფესიის მიმართ პატივისცემის ვალდებულება. ის რომ ადვოკატებს, სხვა პირებისგან განსხვავებით გამოხატვის თავისუფლების უფრო შეზღუდული ფარგლები აქვთ, სწორედ კორპორაციული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გაღრმავების მიზნიდან გამომდინარეობს“.(ეთიკის კომისიის 2023 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე №089/21).

„კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

„ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი". (ეთიკის კომისიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №076/10).

მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატის მიერ გაჟღერებული ფრაზა შეფასდეს თავისი შინაარსით, ინტონაციით, ფორმითა და კონტექსტით. კომისია განმარტავს, რომ მნიშვნელოვანია სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, თუ რა კონტექსტში და ფორმაში ადვოკატის მხრიდან ფრაზის „სხდომის ფორმალური მონაწილე ხარ, სჯობს იმოქმედო" წარმოთქმა კოლეგა ადვოკატის მიმართ.

შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან ნათლად არ ჩანს, თუ რა ფორმაში მოხდა აღნიშნული განცხადების გაკეთება ადვოკატის მხრიდან. კომისია განმარტავს, რომ თუ ადვოკატი აფიქსირებდა საკუთარ მოსაზრებას და თვლიდა, რომ მისი კოლეგა იყო შედარებით პასიურ როლში, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად, რადგანაც ადვოკატი აფიქსირებდა საკუთარ მოსაზრებას, რომელიც ექცევა ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

თუმცა, თუ ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადების მიზანი იყო კოლეგა ადვოკატის რეპუტაციის შელახვა პროცესის მონაწილეებისა და დამსწრე პირების თვალში და მისი განცხადება იყო ირონიული სახის, მაშინ ეს სცდება ადვოკატის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და ირღვევა კოლეგიალობის პრინციპი, რადგანაც ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის პროცესში, დაიცვას კანონი და ეთიკის ნორმები, მათ შორის კოლეგიალობის და ურთიერთპატივისცემის პროფესიული ვალდებულებები. აღნიშნული გამოხატავს კოლეგებს შორის ურთიერთპატივისცემას, ასევე, პროფესიული საქმიანობისა და პოზიციების პატივისცემას, რაც არ უნდა მიუღებელი იყოს კონკრეტული პოზიცია ადვოკატისთვის.

დასკვნა:

შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან არ ირკვევა, თუ რა შინაარსით, ინტონაციით, ფორმითა და კონტექსტით მოხდა ადვოკატის მხრიდან შეკითხვაში მითითებული განცხადების გაკეთება. თუ ადვოკატი აფიქსირებდაა საკუთარ პოზიციას, მაშინ ადგილი არ აქვს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას, თუმცა თუ მისი განცხადება იყო ირონიული სახის და მისი მიზანი იყო კოლეგა ადვოკატის საქმიანი რეპუტაციის შელახვა პროცესის მონაწილეებისა და დამსწრე პირების თვალში, მაშინ კოლეგიალობის დაცვის ვალდებულება ჩაითვლება დარღვეულად.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/